



შერეშის მაცნე

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი 8(142) 2017 წ. 16-30 აპრილი ფასი 50 თეთრი



რომან ზუბაკიშვილი

აპრილში

ყველა აპრილი დღეს მეღანდება,
რაც ჩაველილია და რაც მოღელავს,
ღამე დავლიე ეს მერამდენედ
შენი ტრფიალის ყარაჩოდელმა.
ავფეთქებულვარ ეს მერამდენედ,
მომიჩანს სისხლი ატმის კვირტების,
თუმც მაცდუნებენ ესმერაღდები,
მე ჩემს მარიტას ვერ მოვცილდები...
თავს ვკარგავ ხოლმე, გპოვებ როდესაც
და მაინც ამ გზით წასვლას არ ვიშლი.
შენზე ფიქრით ვრთავ მთებსაც, კორდებსაც,
აქ დაბრუნებულ ყოველ აპრილში.



22 აპრილს მსოფლიო დედამიწის საერთაშორისო დღეს აღნიშნავს. ეს დღე 1970 წლიდან აღინიშნება და ეკოლოგიურ ხასიათს ატარებს, მიზნად ისახავს ბუნებრივი კატასტროფების აცილებასა და ეკოსისტემის მოფრთხილებას. სწორედ ამ დღესთან დაკავშირებით გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ "სუფთად ევროპისკენ" დასუფთავების კვირეული დაიწყო, რომელიც საქართველოს ყველა რეგიონს მოიცავს. დასუფთავების აქცია მოეწყო საგარეჯოს მუნიციპალიტეტშიც, რომელშიც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გზირიშვილმა, გამგებლის მოადგილემ გიორგი რევაზიშვილმა, ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლებმა, ა(ა)იპ-ების ხელმძღვანელებთან და თანამშრომლებთან ერთად მიიღეს მონაწილეობა.

შეზახსენებთ, რომ ნარჩენების მართვის კოდექსი ითვალისწინებს შემდეგი ტიპის საჩუქრებს - მუნიციპალური ნარჩენებით გარემოს დანაგვიანება:

1. 2 - კვადრატული მეტრის ნარჩენით გარემოს დანაგვიანება - გამოიწვევს დაჯარიმებას 80 ლარის ოდენობით.
2. იგივე ქმედება, ჩადენილი საცხოვრებელი სახლიდან, ან სხვა შენობა ნაგებობიდან - გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით.
3. იგივე ქმედება, ჩადენილი ავტოსატრანსპორტო საშუალებიდან - გამოიწვევს მძღოლის, ხოლო საზოგადოებრივი ტრანსპორტის შემთხვევაში - შესაბამისი დამრღვევის დაჯარიმებას 120 ლარის ოდენობით.
4. 5 ერთეულამდე საბურავით (გარდა ყველსიპედის საბურავისა) გარემოს დანაგვიანება - გამოიწვევს დაჯარიმებას 150 ლარის ოდენობით.

დახასრული მმ-2 გვერდზე

ჩვენს მუნიციპალიტეტში

დედაინის საერთაშორისო დღე

ამდინას საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ უჯარმაში გახეთის ბუბერნატორი ირაკლი ძაღაბიშვილი და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი ბიორგი გზირიშვილი თანამშრომლებთან ერთად შეუერთდნენ.



ჩვენს მუნიციპალიტეტში

დაღამინის საერთაშორისო დღე

დასასრული

- 5. 5 ერთეული ან 5 ერთეულზე მეტი საბურავით (გარდა ველისპედიის საბურავისა) გარემოს დანაგვიანება – გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.
- 6. 2 კგ-ზე ბატარეის, აკუმულატორის, ელექტრონათურის, ელექტროსაქონლის, გრაფიტის ელექტროდის, ბასრი ან მხვლეულთა საგნის (მათ შორის, შუშის ნამსხვრევების, ლურსმნის ან სხვა მსგავსი საგნის) ნარჩენით გარემოს დანაგვიანება გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით.
- 7. 2 კგ ან 2 კგ-ზე მეტი მუნიციპალური ნარჩენით გარემოს დანაგვიანება (გარდა ამ მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა) – გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 150 ლარის ოდენობით, იურიდიული პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.
- 8. 1 მ3-ზე მეტი მოცულობის მუნიციპალური ნარჩენით გარემოს დანაგვიანება – გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით, იურიდიული პირის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.
- 9. დიდი მოცულობის ნარჩენით (მათ შორის, სატრანსპორტო საშუალების, ელექტრო- ან ელექტროტექნიკური დანაგვიანების,

სამშენებლო დანაგვიანების ან სხვა მსგავსი მოწყობილობის) გარემოს დანაგვიანება – გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, იურიდიული პირის დაჯარიმებას 1500 ლარის ოდენობით.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის, სწრაფი რეაგირების სამსახურის თანამშრომლები 24 საათიან პატრულირებას ახორციელებენ, რათა მაქსიმალურად აღკვეთონ მოსახლეობის მხრიდან გარემოს დაბინძურების ფაქტები.

გმანცა ჰამახიშვილი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.



სოფელი სათაფლი

ანბარიუს აბარებს გამგებლის წარმომადგენელი

სოფელი პერსპიანი



სოფელი ვერხვიანი ერთ-ერთი ძირ-ძველი ქართული სოფელია. ყურადღებას იპყრობს თავისი ადგილ-მდებარეობითა და სილამაზით. ისევე როგორც ყველა ქართულ სოფელში, აქაც მძლავრობს ის ტრადიციები, რომლებიც მამა-პაპიდან მოდის. მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა აქაც სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა დარგია – მევინახეობა, მემცენარეობა, მეძაღვეობა, მესაქონლეობა. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ამ სოფელშიც იგივე პრობლემები იყო, რაც რესპუბლიკის სხვა სოფლებში: მოსახლეობას აწუხებდა უგზოობა, სასმელი წყლის დეფიციტი, მაგრამ ამ ორიოდე წლის წინ აქაც ნელ-ნელა დაიწყო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე მუშაობა.

სოფელში 2013-2014-2015-2016 წლებში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ ღონისძიებებზე გვესაუბრება სოფელ ვერხვიანის გამგებლის წარმომადგენელი ნოდარ ზემბიაშვილი:

- ჩვენს სოფელში 2013 წელს “სოფლის მხ-

არდაჭერის” პროგრამით 14923 ლარის სამუშაოები ჩატარდა. **კონკრეტულად** კი აქ მოხდა:

- სასმელი წყლის სისტემის **ადღებან-რე-აბილიტაცია** (**შეცვლილ იქნა** წყლის რეზერვუარიდან გამომავალი რკინის ამორტიზირებული მილი 450 მეტრი);
- საბავშვო ბაღში **მოეწყო** სველი წერტილები;
- პრობლემურ უბნებზე **დაემატა** წყლის 9 საუნთ ონკანი, ასევე, აღდგინდა იქნა დაზიანებული მაგისტრალური წყალსადენის მილი ორ უბანზე.
- **სოფელში** რეგისტრირებული განვითარების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტიდან **დაფინანსებით**:
- **გაკეთდა** - ვერხვიანი-კაკაბეთის დამაკავშირებელი გზა.
- **გადიანურა** - სოფლის თავში არსებული



წყლის გამანაწილებელი ჯიხური.

- ნაწილობრივ **შეკეთდა და შეიღეს** სოფლის თავში არსებული წყლის რეზერვუარი.
- სოფლის ბოლოში, წყლის რეზერვუართან **მოეწყო** სანიტარული არხი, რადგან წვიმების დროს მოვარდნილი ნიაღვარი ჩადიოდა წყლის რეზერვუარში.
- ორჯერ, აქაურ სოფლის მოსახლეობას ჩაუტარდა უფასო სამედიცინო გამოკვლევები - საგარეჯოს “ჯეო პოსიტივალს”-ის და ქ. თბილისის “დედათა და ბავშვთა” სამკურნალო ცენტრის ექიმების მიერ. ასევე, მოსახლეობას უფასოდ გადაეცა საჭირო მედიკამენტები კომპანია “ავერსის” მიერ.
- სოციალურად დაუცველ და გაჭირვებულ ოჯახებს გადაეცა “ქალთა საბჭოს” მიერ ნაწილობრივ პირველადი მოხმარების მედიკამენტები.
- **2014 წელს “სოფლის მხარდაჭერის” პროგრამით**:
- **შერემონტდა** ყოფილი სკოლის ერთი ოთახი და მოეწყო სამედიცინო პუნქტი (გაიხარჯა 7907 ლარი)
- სოფლის თავში არსებულ წყლის რეზერვუარს **ჩაუტარდა** რეაბილიტაცია (გარშემო

მთლიანად დაესხა ბეტონი და შეიღეს კედლები) (გაიხარჯა 2960 ლარი).

- **გაიწმინდა** წყლის სათავე-ნაგებობა, რაზედაც 3743 ლარი გაიხარჯა.
- ამასთან, სხვადასხვა პროექტებით სოფელში **გაკეთდა** სოფელ ვერხვიანის კახეთის ავტომობილსტრატოან დამაკავშირებელი გზა (2 კმ-იანი მონაკვეთი);
- **შეიკეთდა** საწნო წყლის მაგისტრალურ მილზე არსებული უკუნამკეტო;
- მოსახლეობას ჩაუტარდა თვალის უფასო გამოკვლევები თბილისის “ჯავრიშვილის” სახელმწიფო კლინიკის ექიმების მიერ.
- **2015 წელს** “სოფლის მხარდაჭერის” პროგრამით აქ ერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა:
- **გამოიკეთდა** მაგისტრალური წყალსადენი მილი (730 მეტრი), რაზეც 14720 ლარი გაიხარჯა.
- ამასთან, სხვადასხვა პროგრამებით აქ **განხორციელდა** სხვადასხვა ისეთი პროექტი, რომელთა განხორციელებამაც აქაურ სოფლის მოსახლეობას მრავალწლიანი ოცნებები აასრულა, **კონკრეტულად**:
- **მოხდა** სოფლის გაზიფიცირება;
- **შეიქმნა** და დამონტაჟებული იქნა წყლის ტუმბო.
- ერთ-ერთ პრობლემურ უბანზე, სადაც ათეული წლებით პრობლემა იყო სასმელი წყლის ნორმალურად მიწოდება, მთლიანად **გამოიკეთდა** სასმელი წყლის მილი.
- **ბასულ წყლს** აქ “სოფლის მხარდაჭერის”



და შემოყვანილ იქნა ინტერნეტი.

აღნიშნული კლუბი გაიხსნა არასამთავრობო ორგანიზაცია “აღამიანი გაჭირვებაში” (ინგ. “People in Need”) პროექტის მიხედვით. ახალგაზრდული კლუბი სოფლის ახალგაზრდობას უფრო აახლოვებს ერთმანეთთან და ხელს უწყობს მათ ჩართულობას.

სოფლის მოსახლეობისათვის მართლაც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს ახლა ჩვენს მოსახლეობას ჰყავს თავისი ექიმი - ქეთევან გიგილიშვილი, რომელიც მათ ჯანმრთელობაზე ზრუნავს. მათთვის დიდი შედარებით იყო, ასევე, შპს “ჯეოპოსიტივალს”-ის საგარეჯოს მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრისა და თბილისის “ჯავრიშვილის” სახელობის კლინიკის ექიმების სოფელში სტუმრობა და მათგან კონსულტაციის მიღება. ასევე, დიდი მადლიერება გამოხატეს აქაურებმა ქ. თბილისის “დედათა და ბავშვთა” სამკურნალო ცენტრის ექიმების მიერ გაწეულ კონსულტაციებზე. მნიშვნელოვანი იყო მათთვის უფასო მედიკამენტების მიღებაც.

მინდა ჩემს საუბარში აღვნიშნო, რომ ჩვენი **სოფლის ახალგაზრდობა, მოსწავლეები აქტიურად არიან ჩაბმული სოფლის შემოგარენის დასუფთავებაში, სხვადასხვა სახის აქტივობებში.**

რაც შეეხება 2017 წელს განხორციელებულ პროექტებს, აქ მიმდინარე წელს შევეცადეთ სასმელი წყლის ტუმბო და გასულ წლებში “სოფლის მხარდაჭერის” პროგრამიდან მორჩენილი თანხით **კეთდება** სოფლის ცენტრალური ქუჩის **განათობა**. გულდასაწყვეტია, რომ ჯერ-ჯერობით ეს თანხა 3 ნათურის დაყენებას მოხმარდება. თუ ამ პროგრამით დაფინანსება გაგრძელდება, ჩვენც ბოლომდე მივიყვანთ დაწყებულ საქმეს. ამასთან, დიდი სურვილი გვაქვს მოვაწყოთ მეზავერთა მოსაცდელი. მოგვსვენებთ, ჩვენი სოფლის ცენტრში არსებული მეზავერთა მოსაცდელი დია ცისქვეშაა - აქ ბუნებრივი, კლიმატური პირობებისგან დამცავი ნაგებობა არ გვაქვს.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ჩვენი სოფლის მოსახლეობის სახელით მადლობა გადავუხადო ჩვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, შესაბამისი სამსახურების თანამშრომლებს, რომლებიც გვერდში გვიდგანან და ზრუნავენ ჩვენი სოფლის ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისათვის.



პროგრამით 15215 ლარის ინფრასტრუქტურული სამუშაოები ჩატარდა; **კონკრეტულად**:

- **მოხდა** წყლის სისტემის მოწესრიგება-რეაბილიტაცია, ამორტიზირებული მილის შეცვლა.
- ჩვენი სოფლის ყველა თაობის ოცნება იყო აქ **ახალგაზრდული კლუბის მოწოდება**, რომელიც სწორედ გასულ წელს გაიხსნა - კლუბი აღიჭურვა სპორტული ინვენტარით, კომპიუტერით

მუნიციპალური გვერდი

გაუორიგარული სისხებით არჩეული
პარლამენტის წევრის რომან მუხიაშვილის ბიურო



ბიუროს უფროსი

პაატა ასრათაშვილი

დაიბადა 1965 წელს
ბანათლება - უმაღლესი, სპეციალობა - სატყეო-საინჟინრო, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი (1999-2003 წ.წ.)
სამუშაო გამოცდილება: მიწათმომწეობი - სოფელ ნინოწმინდის კოლმეურნეობაში (1986-1996 წ.წ.); მთავარი სპეციალისტი საგარეჯოს მიწის მართვის სამსახურში (1997-2005 წ.წ.); სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უფროსი (2005-2016 წ.წ.); უფროსი - საგარეჯოს მაჟორიტარი დეპუტატის რომან მუხიაშვილის ბიუროში 2016 წლიდან დღემდე.

ბიუროს ფუნქციები
ა) მასშობითარი პარლამენტის წევრის ამომრჩეველთან მუშაობის ორგანიზება;
ბ) აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოების საკმინარეში მასშობითარი პარლამენტის წევრის მონაწილეობა;
გ) ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტაში მასშობითარი პარლამენტის წევრის მონაწილეობა;
ბიურო ორგანიზებას უწევს:
ა) მოქალაქეთა მიღებას, განიხილავს მოქალაქეთა წერილებში, საჩივრებსა და განცხადებებში დასმულ საკითხებს, მასშობითარი პარლამენტის წევრისთვის ამზადებს სათანადო დასკვნებსა და წინადადებებს;
ბ) რეგისტრაციის ატარებს, აღრიცხავს, შეისწავლის და რეაგირებას ახდენს მასშობითარი პარლამენტის წევრის სახელზე შემოსულ წერილებზე, საჩივრებსა და განცხადებებზე;
გ) აწყოებს ამომრჩეველთან მასშობითარი პარლამენტის წევრის შეხვედრებს; დ) ხელს უწყობს ამომრჩეველთან მასშობითარი პარლამენტის წევრის პოლიტიკურ ბაჟითანებათან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, აბრეთვე, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ურთიერთობას და ა.შ.

ბიუროს წევრი

გვანცა საბინაშვილი

დაიბადა 1989 წელს
ბანათლება: ისტორიკოსი, ისტორია და სამოქალაქო განათლება. ილიას სახელობის უნივერსიტეტი.(2005-2009წ).
დიპლომირებული სპეციალისტი-მოდელიორი, ტიხრული მინანქარი - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემია. სამართალ მცოდნე, ბიზნეს-ინჟინერინგი-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (2014წლიდან დღემდე სწავლობს).
სამუშაო გამოცდილება: მოღარე-ოპერატორი-დაირექტორი ჯორჯია Guot (2010-2014წ) ინდივიდუალური მეწარმე (2014-2016წ) მაჟორიტარი პარლამენტის წევრის რომან მუხიაშვილის ბიუროს წევრი 2017 წლის თებერვლიდან დღემდე.



ბიუროს წევრი

ვასილ მუხიძე

დაიბადა - 1988 წელს.

ბანათლება - უმაღლესი, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (2004-2008 წ.წ.)
სამუშაო გამოცდილება - ლოჯისტიკის მენეჯერი - შპს "იმპორტ - პლუსი" (2006-2013 წ.წ.); საქმეთა მწარმოებელი - შპს "გილმარი 2" (2013 წ.); დამფუძნებელი და დირექტორი შპს "ნალი - 2013" (2013-2015 წ.წ.); დამფუძნებელი შპს "ნიუ ბილდინგი +" (2015-2016 წ.წ.) საგარეჯოს მაჟორიტარი დეპუტატის რომან მუხიაშვილის ბიუროში 2016 წლიდან დღემდე.

სიკბითა გადახდებიან
ემიგრანტი, რომელსაც გაჭირვებული ადამიანები არ აზინყდები



6060 პაპიაშვილი საგარეჯოელია, აქ დაიბადა და გაიზარდა. იქნებ, ბავშვობაში არც არასოდეს უფიქრია და უოცნებია საქართველოს ფარგლებს გარეთ ცხოვრებაზე. მაგრამ... უკანასკნელ პერიოდში ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურმა ვითარებამ ბევრი ემიგრანტად აქცია და უცხო ცისა და მიწის შემყურეს საქართველოს სურნელი მოანატრა. ასეა ნინოც. 9 წლის წინ თვალცრემლიანი გამოემშვიდობა მშობლებს, და-ძმას, ახლობლებს და ესპანეთში წავიდა... წავიდა განცდებით, მაგრამ იმედით - ხელს შეაშველებდა ოჯახს, და-ძმას...
პირველად უჭირდა, თითქოს იქაური პაერიც უცხო იყო, მაგრამ ახსენდებოდა, რომ საგარეჯოში ოჯახის წევრები მის

გამოგზავნილ თანხას ელოდებოდნენ: პურის, წამლების, პირველადი მოხმარების ნივთების შესაძენად. გაძლო ნინომ, რაღაცნაირად გაძლო. იქ ბევრი საგარეჯოელი ნახა - მეზობელი, ამხანაგი, უბრალოდ თანაქალაქელი... ახლა იქ გააგრძელებს ურთიერთობები, ერთმანეთის ნახვით იკლავდნენ საგარეჯოს მონატრების სურვილს... ნინომ ცოტა ხნის წინ და და ძმის მეუღლეც ესპანეთში წავიყვანა. მაგრამ რაც ყველაზე მთავარია, ნინოს არ დავიწყებია საგარეჯოელი გაჭირვებული ოჯახები და ყველენაირად ცდილობს მათ დახმარებას. უკვე რამდენიმე წელია მათთვის აგზავნ



ნის ტანსაცმელს, პროდუქტებს, ფულს. ნინო გასულ წელს 5 ოჯახს დაეხმარა, მათ ვისაც სოციალური დახმარება მოუხსნეს. მათი ოჯახების სია კი თავისმა აქაურმა მეგობარმა მაკამ მიაწოდა სოციალური სააგენტოს თანამშრომლის დახმარებით, თუმცა სოციალურ ქსელებშიც ნახულობს საგარეჯოელ გაჭირვებულ ადამიანებს (მედია-კავშირ "ობიექტივის" გადაცემებით)

და სწორედ მათ მისამართზე გზავნის. ასე დაეხმარა გომბორელ მზია შეთეკაურის 11 სულიან ოჯახს, 22 წლის მარიამ ფავლენიშვილს და მის პაწიას, ასევე თანხა გამოუგზავნა 36 წლის კომაში მყოფი ვეფხია ბუნაშვილის ოჯახს, ცილა გულადაშვილის 5 სულიან ოჯახს, ნინო ფილაურს - სამი არასრულწლოვანი შვილის დედას... გასულ წელს საადგომოდ პასკეტი და შედებილი კვერცხები დაურიგდა მრევლს. ახლაც, ადგომას ნინოს დედა ნინოს გამოგზავნილი ტანსაცმლის ყუთები, 50 ცალი პასკა და 120 ცალი საადგომო კვერცხი გიორგიწმინდის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაში მიიტანა გაჭირვებული ოჯახებისთვის გადა-



საცემად...
ნინოს ამ ყველაფრისთვის თანხა იმ კონცერტებით შეუგროვებია, რომელსაც ის ატარებს ესპანეთის იმ პატარა ქალაქში, რომელსაც ალკობენდისი ჰქვია. ნინო კარგად მღერის, ქართველი მსმენელიც ყოველთვის სიამოვნებით ისმენს მის სიმღერებს და გარდა ქართველებისა, მის კონცერტებს ესპანელებიც ესწრებიან. კონცერტის მომზადება-ჩატარებაში ძალიან დაეხმარა მომღერალი ლალი ჭილაია, - მითხრა ნინომ, რაზედაც მას მადლობას უხდის. ხოდა, იქ შეგროვებული თანხით ნინო (სულ 250 ევრო შემოგროვდა, მომწერა ნინომ, აქედან 140 ევრო მხოლოდ ტვირთის გადმოზიდვაში გადავიხადე) საგარეჯოს მოსახლეობას თავის გულის სითბოს და სიყვარულს უგზავნის, თანაც უხარია, შიგ თავისი მიწა-წყლის ადამიანების წელიდც რომ შედის.



კულტურა

სტუდენტური მუნიციპალიტეტის კულტურის ობიექტების გაერთიანებაში



აიპ „საგარეჯოს კულტურის ობიექტების გაერთიანებაში“ (დირექტორი ბესიკ ზვინაშვილი) 2017 წლის სამუშაო დონისიძიებები ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბრიდან დაიწყო - გაერთიანებამ უამრავ მოზარდს უმასპინძლა საახალწლო ნაძვის ხესთან, რაშიც გაერთიანების თითქმის ყველა თანამშრომელი აქტიურადაა ყოველთვის ჩაბმული. ახალი წლის დასაწყისიდან მათ მიერ გაწეულ მუშაობაზე გვესაუბრება ამავე გაერთიანების დირექტორი ბესიკ ზვინაშვილი:

– ახალ წელს ახალი საზრუნავი მოაქვს, თუმცა, ის საქმიანობა, რასაც ჩვენი მუშაკები ეწევიან, ყოველთვის სასიამოვნო და სახალისოა, რადგან სწორედ ჩვენი გაერთიანება ემსახურება ჩვენი მოსახლეობის კულტურულ და საგანმანათლებლო სფეროს. ჩვენს გაერთიანებაში შედის ცენტრალური ბიბლიოთეკა (მენეჯერი ლია გოდერძიშვილი), საგარეჯოს კულტურის სახლი (მენეჯერი თინათინ მეზერიშვილი), მხარეთმცოდნეობის მუზეუმი (მენეჯერი ბადრი დრეიძე), პატარძელის გ. ლეონიძის სახელობის სახლ-მუზეუმი (მენეჯერი დარეჯან ლეონიძე), სასოფლო კლუბები: სოფლებში – ბაღიაური, თოხლიაური, პატარძელის, კაკაბეთი, კოჭბანი, თოჯინების სახალხო თეატრი (მენეჯერი მარინა შიოშვილი), პატარძელის და კაკაბეთის ბიბლიოთეკები, ვანო მჭედლიშვილის სახელობის



“EKC – BB”-ს უმასპინძლა. ამ კონცერტში მასთან ერთად სტუდია “მი-რე-ლა”-ს მომღერლებიც მონაწილეობდნენ, რამაც დიდი სიამოვნება მიანიჭა დარბაზს.

14 იანვარს სოფელ პატარძელის კლუბში საკლუბო მუშაობის სპეციალის-



ტის თინა ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით ჩატარდა ძველი ახალი წლის ზეიმი, რომელშიც აქტიურად იყო ჩართული პატარძელის ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი ნათელა მუნიურიც. მათ მუსიკის მასწავლებელ ელზა ხიპაშვილთან ერთად პატარძელის საჯარო სკოლის მოსწავლეების და-



საეკლესიო ვალობისა და ხალხური სიმღერის სახელოსნო” (ხელმძღვანელი ბექა ღვინაშვილი), სახელოვნებო სკოლა (ხელმძღვანელი ალექსანდრე ასლანიშვილი). ამასთან, ვაჟთა სახალხო ანსამბლი “გარეჯი” (ხელმძღვანელი მალხაზ ივანელაშვილი), ქალთა სახალხო ანსამბლები “წინარი” (ხელმძღვანელი ნელი გულიკაშვილი) და ქალთა ანსამბლი “კასლეთილა” (ხელმძღვანელი ფიქრია მარგანი), საგარეჯოს კულტურის სახლთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი “იმედი” (ხელმძღვანელი თინათინ მეზერიშვილი და ვია კუჭუაშვილი), სტუდია “მი-რე-ლა” (ხელმძღვანელი მარინა ურდულაშვილი)



დაცემით “მი-რე-ლა”-ს მომღერლებს და მათ შემოქმედებას საგარეჯოს და კახეთის გარდა, მთელი საქართველო გავცნო.

10 იანვარს საგარეჯოს კულტურის სახლის მცირე დარბაზში რუსულ ჯგუფს

რობდნენ, სადაც მათ თავიანთი შემოქმედება გააცნეს ტელემაყურებელს.

22 იანვარს თბილისში გამართულ რესპუბლიკურ ფესტივალში “მხიარული ნოტები -2017“ მონაწილეობას იღებდნენ სტუდია “მი-რე-ლა”-ს წევრები. საამაყოა, რომ ამ ფესტივალის გამარჯვებული ჩვენი სტუდია “მი-რე-ლა” გახდა, სადაც პირველ ადგილზე მისი წევრი მარია საგინაშვილი გავიდა, მეორე ადგილზე – ლუკა მარტიაშვილი, ხოლო მესამე ადგილები ლალიკო ბაიდაურმა და ნანუკი სამბელაშვილმა გაინაწილეს.

26 თებერვალს სოფელ პატარა ჩაილურში გამართულ სახალხო დღესასწაულში “ბერიკობა” აქტიურად მონაწილეობდნენ კულტურის გაერთიანების თვითმომქმედი კოლექტივები.

27 თებერვალს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში მოწოდებულ ხეზე კვეთის ოსტატის გიორგი ძულიაშვილის პერსონალური გამოფენის გახსნაში მონაწილეობა კულტურის ობიექტების თანამშრომლებმაც მიიღეს.

10 მარტს საგარეჯოს ცენტრალური ბიბლიოთეკის (მენეჯერი ლია გოდერძიშვილი) გუნდი მონაწილეობას იღებდა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში სოციალურ-საგანმანათლებლო კამპანია “ჩვენი მკითხველის” ფარგლებში გამართულ ფინალურ შეხვედრაში ინტელექტუალურ თამაშში “რა? სად? როდის?”. როგორც ზემოთ საუბარში აღვნიშნე, საგარეჯოს პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეებისგან შემდგარმა ამ ჯგუფმა რეგიონულ ტურში პირველი ადგილი დაიკავა. აქ კი, სადაც 19 გუნდი მონაწილეობდა, მართალია, ვერც ერთი ადგილი ვერ მოიპოვა ამ ჯგუფმა, მაგრამ სამაგიეროდ, კარგი გამოცდილება შეიძინეს.

24-25 მარტს ჩვენს მუნიციპალიტეტში გაიმართა გამომცემლობა “პალიტრა L”-ის მიერ გამომცემელი წიგნების გამოფენა-გაყიდვა, სადაც ჩვენმა მოსახლეობამ ხელმისაწვდომ ფასებში მათთვის სასურველი



წიგნები შეიძინეს.

21 მარტს სოფელ ლამბალოს საჯარო სკოლაში კულტურის ობიექტების გაერთიანების ორგანიზებით სახალხო დღესასწაული – ნოვრუხ-ბაირამი გაიმართა, რომელშიც ადგილობრივი სოფლების მოსწავლეებთან ერთად მონაწილეობდნენ საგარეჯოს კულტურის სახლთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი “იმედი” (ხელმძღვანელები თინათინ მეზერიშვილი, ვია კუჭუაშვილი) და სტუდია “მი-რე-ლა” (ხელმძღვანელი მარინა ურდულაშვილი).



24 მარტს კულტურის სახლის მცირე დარბაზში ფერეიდანში მცხოვრები ქართველების ფოლკლორული ანსამბლის “ფესვების” კონცერტი გაიმართა.



31 მარტს საგარეჯოს თეატრის მცირე დარბაზში გაიმართა საგარეჯოელი მომღერლის გიორგი შაქარაშვილის საიუბილეო საღამო. საღამო მომზადდა და ჩატარდა ცენტრალური ბიბლიოთეკის (ყოფილი საბავშვო ბიბლიოთეკის) მკითხველთა მომსახურების ბიბლიოთეკარის ვერიკო კერატიშვილის ინიციატივით. დონისიძიებაში მონაწილეობდნენ ქართული ხალხური სიმღერების შემსრულებლები.

ჩვენმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა “იმედი” და სტუდია “მი-რე-ლა”-მ აქტიური მონაწილეობა მიიღეს 12 აპრილს საგარეჯოს სპორტდარბაზში გამართულ ქართული ფალანხის არსენ მეკოკიშვილის დაბადების 105-ე წლისთავისადმი მიძ-



ღვნილ დონისიძიებაში. მაყურებელს მათ თავიანთი შემოქმედება უჩვენეს თავისუფალი ჭიდაობის დაწყებამდე.

გარდა იმისა, რომ ჩვენი გაერთიანების თანამშრომლები აქტიურად არიან ჩართული იმ საქმიანობაში, რომელიც 2017 წლის სამუშაო გეგმაშია დასახული, ასევე აქტიურად ვმონაწილეობთ მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავების აქციებშიც. ასე იყო 2 მარტს და 22 აპრილსაც.



საზოგადოებრივი ჯანდაცვა

ტუბერკულოზი პირაპი დაავადებაა

დაამატება ტუბერკულოზი ცნობილია უძველესი დროიდან, იგი დღესაც ზოგად საკაცობრიო პრობლემას წარმოადგენს. ყოველი წლის 24 მარტს მსოფლიო აღნიშნავს ტუბერკულოზის დღეს.

ტუბერკულოზი პირაპი პირაპი მკურნალობა მკვეთრად შეამცირა ტუბერკულოზით ავადობა და სიკვდილობა, თუმცა XX საუკუნის 80-იანი წლებიდან მთელს მსოფლიოში კვლავ აღინიშნა ტუბერკულოზის შემთხვევათა მატება. მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში იგი უკავშირდებოდა შიდასივრცის გაერცვლებას, საქართველოში კი ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გაუარესება გამოიწვია 1991-1994 წლებში მიმდინარე სამოქალაქო ომმა, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების კონფლიქტებმა, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მკვეთრმა გაუარესებამ, ჯანდაცვის სისტემაში შექმნილმა პრობლემებმა.

ტუბერკულოზთან ბრძოლის მრავალწლიანი სახელმწიფო პროგრამის ამოქმედების შემდეგ (1995 წლიდან) საქართველოში მდგომარეობა გარკვეულწილად გაუმჯობესდა, მაგრამ სიტუაცია ჯერ კიდევ სერიოზულია.

ტუბერკულოზი არ წარმოადგენს მხოლოდ რომელიმე ერთი ქვეყნის პრობლემას, ტუბერკულოზი მსოფლიო პრობლემაა. ტუბერკულოზით მსოფლიოში ყოველწლიურად 8-9 მილიონი ადამიანი კვდება.

ტუბერკულოზი არის ინფექციური დაავადება, რომელსაც იწვევს ტუბერკულოზის მიკობაქტერიები. ტუბერკულოზური პროცესი უზშირესად ვითარდება ფილტვებში, გარდა ამისა, იგი შეიძლება განვითარდეს ნებისმიერ სხვა ორგანოში (თავის ტვინის გარსები, ძვლები, სახსრები, თირკმელები, შარდის ბუშტი და ა.შ. - ე.წ. ფილტვგარეშე ტუბერკულოზი).

ინფექციის ძირითად წყაროს სახსრები სისტემის ტუბერკულოზით დაავადებული ადამიანი წარმოადგენს, რომელიც ხველების, ცემინების ან საუბრის დროს ჰაერში გამოყოფს მიკობაქტერიების შემცველ უმცირეს წვეთებს. ჯანმრთელი ადამიანი შეიძლება დაინფიცირდეს მიკობაქტერიების გაჯერებული ჰაერის ჩასუნთქვის შედეგად.

ტუბერკულოზით დასნებოვნების ალბათობა განსაკუთრებით მაღალია მაშინ, როდესაც ჯანმრთელი ადამიანისა და ფილტვების ტუბერკულოზით დაავადებული ადამიანის კონტაქტი ხდება დახურულ და ცუდად განიავებულ გარემოში ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

ტუბერკულოზით დასნებოვნება შეიძლება მოხდეს საკვების გზითაც, მაგალითად, ინფექცია ორგანიზმში შეიძლება შეიჭრას ტუბერკულოზური მიკობაქტერიების შემცველი აუღულარი რძის ან რძის პროდუქტების მიღებისას. ასეთ შემთხვევაში ინფექციის წყაროს წარმოადგენს ტუბერკულოზით დაავადებული საკონელი.

ფილტვგარეშე ტუბერკულოზი ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით საშიში არ არის. ჭურჭლით ან სხვა საყოფაცხოვრებო ნივთებით (პირსახოცი, თეთრეულით) ტუბერკულოზი არ გადადის.

ადამიანთა დიდი უმრავლესობა ინფიცირებულია ტუბერკულოზის ჩხირით, თუმცა დაავადება მათგან მხოლოდ 10%-ს უვითარდება.

დაინფიცირების შემდეგ დაავადების განვითარების მაღალი რისკის ჯგუფებს წარმოადგენს:

- 1. არასრულფასოვანი (ცილით ღარიბი) კვებაზე მყოფი პირები, მათ შორის სოციალურად დაუცველი ადამიანები (უსახლკაროები, მარტოხელები, მიგრანტები, დევნილები).

2. ავადმყოფები, რომლებიც ხანგრძლივად იღებენ სტეროიდულ პორმონებს, აგრეთვე სხივურ თერაპიაზე მყოფი პირები.

3. სხვადასხვა თანმხლები დაავადების მქონე პირები (შაქრიანი დიაბეტი, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება) და ა.შ.

4. ალკოჰოლის ჭარბი მომხმარებლები.

5. ნარკომანები.

6. შიდასივრცის დაავადებული პირები.

რა ნიშნები ახასიათებს ტუბერკულოზს?

ტუბერკულოზის ზოგადი სიმპტომებია:

სხეულის ტემპერატურის მომატება, განსაკუთრებით დღის II ნახევარში.

ადვილად დაღლა

ღამის ოფლიანობა

მადის დაქვეითება

წონაში დაკლება

შრომისუნარის დაქვეითება

ფილტვის ტუბერკულოზის დროს შეიძლება აღინიშნებოდეს:

გახანგრძლივებული (2 ან მეტი კვირის განმავლობაში) ხველა უპირატესად ნახველის გამოყოფით.

სისხლიანი ხველა.

ფილტვებიდან სისხლდენა.

ტკივილი ან უსიამოვნო შეგრძობა გულმკერდის არეში.

ჰაერის უკმარისობა.

ტუბერკულოზზე საეჭვო სიმპტომების არსებობისას მაშინვე მიმართეთ ექიმს დიაგნოზის დასაზუსტებლად.

ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ პაციენტმა მკურნალობა დანიშნულების შესაბამისად თანმიმდევრულად, უწყვეტად და ზუსტად ჩაიტაროს. პაციენტისა და ექიმის ოპტიმალური თანამშრომლობის გარეშე, საუკეთესო მედიკამენტების გამოყენებაც კი სასურველ შედეგს ვერ მოიტანს. როდესაც ხდება ტუბერკულოზით დაავადების არარეგულარული მიღება, ან მკურნალობის ვადაზე ადრე შეწყვეტა, შეიძლება განვითარდეს დაავადების მედიკამენტებისადმი გამძლე ფორმა, რომლის მკურნალობა შედარებით რთულია და შედეგიც ხშირ შემთხვევაში სასურველი არ არის.

წამლის მიღების თვითნებურად შეწყვეტის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს ის, რომ მკურნალობის დაწყებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ ავადმყოფის თვითშეგრძობა უმჯობესდება და იგი თავს გამოჯანმრთელებულად თვლის.

თუ გინდათ განიკურნოთ, ჩაიტარეთ ტუბერკულოზით დაავადების მკურნალობის სრული კურსი ექიმის დანიშნულების მიხედვით.

ბანსოვლი:

ტუბერკულოზისთვის დამახასიათებელი ჩივილების არსებობისას დროულად მიმართეთ ტუბერკულოზით დაავადებულს დისპანსერებსა და კაბინეტებს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სადაც სახელმწიფო სტანდარტის ფარგლებში უფასოდ ჩატარდება საჭირო გამოკვლევები და მკურნალობა.

ლია კვიციანი

აიპ „საგარეო საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ ექიმი

მიხრონარე წელი, როგორც საგარეო საზოგადოებრივი ჯანდაცვის სახანძრო-სამაშველო სამსახურში გავარკვევთ, ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის უზრუნველყოფის, ხანძრების რეკორდული მაჩვენებლით დაწყებული. თუ ვასული, 2016 წლის მთლიან პერიოდში აღრიცხული იყო 117 ხანძარი, წელს 19 აპრილის მდგომარეობით უკვე აღრიცხულია ხანძრის 129 შემთხვევა.

- ხანძრების ეს თითქმის გაორმაგებული ოდენობა, - გვეუბნება ამ სამსახურის უფროსი, სამოქალაქო უსაფრთხოების უფროსი ლეიტენანტი ზაზარია ოტიაშვილი - შედეგია იმ გულგრილი და უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისა, რასაც ზოგიერთი ჩვენი მოქალაქე იჩენს ხანძრების და ზოგადად სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვის მიმართ. აღნიშნული ხანძრების რაოდენობიდან უმეტესობა ე.წ. ბაღახის წაქიდებითი ხასიათის ხანძრებია. ბაღახით დასარეველიანებული ნაკვეთების გასასუფთავებლად მათი მკაპრონეები ქარიან ამინდში უკიდებენ ცეცხლს, მერე ბოლომდე ჩაუქრობენ ცეცხლს თავს ანებებენ და აქედან იგი ახლა სხვა, მომიჯნავე ნაკვეთებში გადადის. თოვლი დადნა და გამოიდარა თუ არა, თითქმის ისეთი დღე არ ყოფილა, რომ მუნიციპალიტეტის რომელიმე სოფლიდან შეტყობინება არ შემოვიდეს ვენახების, გზისპირა ნარგავების, ტყის მახვიებში განჩინილი ხანძრის შესახებ. ზოგჯერ ერთდროულად რამდენიმე, 2-3 ხანძარზე ვიღებთ შეტყობინებას და გავდივართ მათ ჩასაქრობად.

ეს კი, თუ რა სირთულეებთან არის დაკავშირებული, ამ საქმეში ჩახედულმა პირებმა კარგად იციან, მით უმეტეს, რომ ჩვენს სამსახურს მოძველებული, საბჭოთა პერიოდის ავტოციტერნები აქვს, რომლებიც გასულ საუკუნეშივე იმსახურებდნენ ჩამოწვრას.

ვენახებში და გზისპირებზე განჩინილი ხანძრებს ასე თუ ისე გუმკლავებით, დიდი ზარალის გარეშე ვაქრობთ, მაგრამ, განსაკუთრებით ჭირს მთავრობის ადგილებში, ტყეებში განჩინილი ხანძრების ქრობა. მაგალითად, თებერვლის თვეში, ოთარაანთ კარის მიმდებარე ტყეში განჩინილი ხანძრის ჩასაქრობად ჩვენ სამი დღე დაგვჭირდა.

ის, რაც ჩვენზეა დამოკიდებული

ხანძრების სტატისტიკა დამაფიქრებელია...

გაგვიჭირდა ხაშმის ტყეებში განჩინილი ხანძრის ჩაქრობაც, რაზედაც დასახმარებლად გამოვიძახეთ გურჯაანის რეგიონული სახანძრო-სამაშველო სამსახურის და ლაგოდეხის მეხანძრეები. ჩვენს დასახმარებლად თბილისიდან ჩამოვიდა ერთი სახანძრო ეკიპაჟი და დიდი ძალისხმევით შემდეგ შევძელით ხანძრის ლიკვიდაცია, თუმცა, ხანძარმა მაინც შეძლო დაახლოებით 50 ჰა-მდე ფართობის დაწვა.

ასეთი შემთხვევები ძალზე გახშირდა გომბორის ზონაში, სადაც მოსახლეობა სათიბების გასუფთავების მიზნით ცეცხლს უკიდებს ტყისპირა სავარგულებს, იქიდან კი უმეტესად ურეოდ მიტოვებული ცეცხლი ტყეებსაც უჩნდება და ჩვენ თითქმის ყოველ დღე გვიხდება მიუვად ადგილებში დაუფუკარი ადამიანების გამო განჩინილი ხანძრების ჩაქრობა. ფაქტიურად, ამის გამო, ჩვენი სამსახურის ყველა მუშაკი გადასულ ვართ 24 საათიან მუშაობაზე, რადგან, როცა ტყეებში ხანძარი, ყველა ვიბარებთ მათ ჩასაქრობად და რა თქმა უნდა, ადამიანისტრაციის მუშაკებიც არ ვართ ხოლმე ამ დროს “გულხელდაკრევილები”

ყველაზე დიდი და ზარალიანი ხანძარი, მაინც პატარა ჩაილურში გვექონდა, სადაც იქ მცხოვრებმა ანზორ ჯაჭავაძემ ცეცხლი დაუკლდა თავის საცხოვრებელ ბინას. ამ დროს სახლში იმყოფებოდნენ მისი შვილობილი 41 წლის გიორგი ჩუბინიძე, მისი მეუღლე - 39 წლის ნანა ჩუბინიძე და მათი მცირეწლოვანი შვილები. ამ ხანძრის დროს დაიღუპა გიორგი ჩუბინიძე. მისმა მეუღლემ და შვილებმა კი მიიმე ხარისხის დამწვრობა მიიღეს. თვითონ ანზორ ჯაჭავაძემ კი სახლისათვის ხანძრის განჩინის შემდეგ ტანზე საწვავი გადასხა და ცეცხლი მოიკიდა. ახლა იგი ძლიერი დამწვრობით მკურნალობას გადის სამედიცინო დაწესებულებაში. დაიწვა მისი სახლის 50 კვმ

ფართობიც.

ხანძრების ბოლო შემთხვევები გომბორის ტყეში და მანავში (18 აპრილი) გელა ბორაშვილის “ვენახის თავში” განჩინილი ხანძრებია. გომბორში განჩინილი ხანძარზე დახმარება გაგვიწიეს თელაველმა მეხანძრეებმა, რომლებიც ტერიტორიულად ახლოს არიან გომბორთან და ხშირად გვეხმარებიან ხოლმე მსგავს სიტუაციებში.

გადაუღებელი სამაშველო საქმიანობისგან თუ გაქვთ ცოცხა შედეგით?

- რომელ შედეგათუბე შეიძლება საუბარი, როცა თითქმის დღე არ გავაისე, ავტოავარია არ მოხდეს, ან მანქანა არ გადავარდეს, ზოგჯერ კი თავიანთი გაუფრთხილებლობითა და დაუდევრობით ადამიანებიც იზიანებენ თავს და იღუპებიან. შეიძლება აპრილს 14 საათსა და 30 წუთზე შეტყობინება მივიღეთ, რომ უდაბნოში მონასტრის დათვალეიერების დროს კვლიდან ხრამში გადავარდა ერთ-ერთი მოქალაქე. შეტყობინების მიღებისთანავე შემთხვევის ადგილზე გავვით ჩვენი სამაშველო პიკაპით მე და ჩვენი თანამშრომლები: აკაკი კვირიაშვილი, კობა ხიზანიშვილი და სხვები. აქვე მოვიდნენ რუსთავეისა და თბილისის სახანძრო-სამაშველო სამსახურის მუშაკები. დაზარალებული გადავარდნილი იყო ახერბაიჯანის საზღვრის იქით, მიუვად კვლევში. სამწუხაროდ, იგი ადგილზევე იყო დაღუპული და საკაცი-სა და თოკების გამოყენებით გარკვეული დროის შემდეგ შევძელით მისი ცხედრის ზემოთ ამოტანა. ამ დროს კი ჩვენი ერთი ეკიპაჟი სოფელ ვერონაში ებრძოდა იქ გა-



ჩინილი ხანძარს.

სამაშველო საქმიანობის კუთხით სტატისტიკა როგორია, აქაც “ზევით” მივიწვეთ თუ შემიძრდა მათი რაოდენობა?

- სამწუხაროდ, ხანძრების მსგავსად, გაზრდილია ამ შემთხვევათა რაოდენობაც შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით თითქმის ორჯერ, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ხანძრების მსგავსად არც ამ საქმისადმი იჩენენ გულსხმიერებას ჩვენი მოქალაქეები, რითაც საფრთხეს უქმნიან არამარტო სხვებს, არამედ ზოგჯერ საკუთარ ჯანმრთელობას და სიცოცხლესაც კი. ალბათ, დროა ჩვენს გზებზე მომხდარი ავტოკატასტროფები და ხანძრები სამაგალითო და საგულისხმო გახდეს ყველა ჩვენთაგანისთვის და მაქსიმალურად ვეცადოთ თავიდან ავირიდოთ ის უსიამოვნებები და უბედურებები, რაც ჩვენს დაუფიქრებელ და გაუაზრებელ მოქმედებებს შეიძლება მოჰყვეს.

გივი ლაპახიშვილი

სოლომონ ქურდიანა დროს გაუსწრო

არბან ადამიანები, რომლებიც გრძობენ ბუნების განადგურების საშიშროებას და დროულად იწყებენ ბრძოლას დროისგან ბოძებული წყალობის დასაცავად. არჩენად. ეს ბრძოლა შესაძლოა უფრო სასტიკი და მიძიმე არის, ვიდრე ხელუღალ მოსულ მტერთან შერკინება, რადგან მებრძოლს ამ დროს საქმე აქვს დაუნდობელ, უგულისხმო და შეუგრძობელ ადამიანთან, რომელსაც დავიწყებია, რომ ბუნების ხეყოფით იგი არღვევს დედაბუნებრივ ქმნილებას და თავის-სავე შეილება უჭრის სასიცოცხლო გზას. გასულ საუკუნეში საქართველოს ბუნებას დამოუკიდებელი შემწე და გულშემბარებული გამოუჩინა – სოლომონ ქურდიანი – რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პირველი ქართველი დენდროლოგი, უმაღლესი სატყეო ცოდნის და სატყეო-სამეცნიერო საქმის ფუძემდებელი საქართველოში, პირველი ქართული სახელმძღვანელო, “სატყეო ენციკლოპედია” (შემდგომ “დენდროლოგიის”) ავტორი, დიდებული ტყემომწეობი საქართველოს საკურორტო ტყეების წიაღში, თბილისის ბოტანიკური ბაღის ერთ-ერთი გამწეებელი, მთის სატყეო მეურნეობის ფუძემდებელი, არაერთი სამეცნიერო ნაშრომისა და წიგნის ავტორი, მთარგმნელი და შემდგენელი.

ბატონი სოლომონი მაშინ – XX საუკუნის პირველ ნახევარში – ტყეების ბედს ჭედავდა საქართველოში. მან გადაარჩინა და გაამრავალა ფორმები საქართველოს ბუნების მშვენიერება – ტყე, მისი გასაოცარი ქმნილებანი: ფიჭვი, ძეღვევა, ჭადარი, ნაძვი, კაკალი მანვე გააშენა თბილისის დენდროლოგიური პარკი, რომელიც, სამწუხაროდ, დღეს აღარ არსებობს, გაიკაფა და

განადგურდა. გასული საუკუნის 70-80-იან წლებში საქართველოში საგანგებოდ ჩამობრძანდნენ პოლონელი პროფესორები: მაცეი გერტიხი და იაცეკი ოლექსინი. მათ ჩამოიტანეს ბატონი სოლომონის მიერ პოლონეთში ჩატარებული კვლევა-ძიების და ცდების აღწერილობანი, ნახაზები, ჩანაწერები და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სათანადოდ შეფასებული ექსპერიმენტების შედეგები, თბილისის სამთო მეტეოლოგიის ინსტიტუტის იმპაინდელმა დირექტორმა, პროფესორმა გიორგი გიგაურმა, პოლონელ სტუმრებს მიაწოდა სოლომონ ქურდიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მასალები. საზღვარგარეთის ჟურნალებში “სილვესტრეტიკის” (გერმანია) და “ფოლია დანდროლიკი” (ბრატისლავის მეცნიერებათა აკადემია) მალე დაიბეჭდა ვრცელი გამოკვლევები ქართველ მეცნიერზე და საგანგებოდ, ხაზგასმულად აღინიშნა – სოლომონ ქურდიანმა დროს გაუსწრო!

დღემდე აქტუალურია საკითხები, რომლებიც სოლომონ ქურდიანმა წამოჭრა და გამოიკვლია. მან პირველმა დაიწყო ტყის მცენარეთა მემკვიდრული თვისებების შესწავლა, პირველმა მიაკვლია მათ შიდასახეობრივ ცვლილებებს. თავისი ნოვატორული ექსპერიმენტებით მერქნიანი სახეობების სელექციის დარგში ბატონმა სოლომონმა პიონერის სახელი დაიმკვიდრა.

ფილოლოგიის დოქტორი, ქალბატონი დოდო (მარია) დლონი გვესაუბრება დიდებული მამულიშვილის, მეცნიერის, მასწავლებლისა და გამოცდილი მეტეოლოგი-დროლოგის - ბატონი სოლომონ ქურდიანის ცხოვრებასა და ღვაწლზე.

ბიოგრაფიული მსახიობი

სოლომონ ზაქარაიას ძე ქურდიანი საგარეოში დაიბადა 1867 წელს. საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1896 წელს, 29 წლისა, პოლონეთში, პულავის (ყოფილი ნოვოალექსანდრია) სასოფლო-სამეურნეო და სატყეო ინსტიტუტში შევიდა. ვინ იფიქრებდა მაშინ, რომ საქართველოდან სწავლის მისაღებად “გადახვეწილი” ახალგაზრდა მამულში დაბრუნების შემდეგ აქ უმაღლესი სატყეო ცოდნის ფუძემდებელი გახდებოდა.

სოლომონი ინსტიტუტში, მეტეოლოგიის კათედრაზე დატოვდა ასისტენტად და დენდროლოგიაში პრაქტიკული მეცადინეობის გაძღოლა დაავალეს, 1903 წელს კი ლექციების კითხვაც მიანდეს.

ამ დროისათვის მან გამოსცა დენდროლოგიის სახელმძღვანელო. ეს წიგნი დღესაც არ კარგავს მნიშვნელობას და ძვირფასია, როგორც ჩვენი თანამემამულის მიერ ამ საგანში რუსულ ენაზე შედგენილი პირველი ორიგინალური სახელმძღვანელო.

შემდეგ მსოფლიო ომმა შეაზანზარა პოლონეთის მიწა და ინსტიტუტი ხარკოვში გადმოიტანეს. აქ მოღვაწეობდა სოლომონიც (1917-1918 წლამდე), ვიდრე ჩვენი სახელოვანი მეცნიერის, ივანე ჯავახიშვილისა და პეტრე მელაქიშვილის დახმარებით, საფუძველი ჩაეყარა აგრონომიულ ფაკულტეტს, რასაც სულ მალე, 1921 წელს, მათივე მეცადინეობით ამ ფაკულტეტთან სატყეო განყოფილების ჩამოყალიბება მოჰყვა.

ამ დარგის ქართველი სპეციალისტები, ცხადია ცოტანი იყვნენ, ამიტომ სოლომონ ქურდიანმა თავს იდო ძირითადი საგნების – დენდროლოგიის, ტაქსაციის, ტყემცოდნეობისა და ტყის ექსპლოატაციის სწავლება.

ამ პერიოდში მთავარი საზრუნავი ქართული სახელმძღვანელოების შექმნა იყო. სოლომონ ქურდიანმა არ დააყოვნა და 1923

წელს გამოაქვეყნა “სატყეო ენციკლოპედია”, რომელშიც დიდი ადგილი დენდროლოგიას ჰქონდა დათმობილი. მოცემული სახელმძღვანელო, მეტეოლოგიის გარდა, აგრონომებისთვისაც იყო გათვალისწინებული, ვინაიდან მაშინ აგრონომიული განათლება ფართო პროფილს მოითხოვდა. ეს წიგნი, რამდენადმე შევსებული და გადათქმავებული, 1929 წელს ხელმეორედ გამოიცა “დენდროლოგიის” სახელწოდებით.

პულეში 1890-იან წლებში იყო რუსეთში პირველი სატყეო საცდელი სადგური, სადაც დაიწყო სოლომონ ქურდიანმა თავისი პირველი საკვლევი - სამეცნიერო სამუშაოები ჩვეულებრივი ფიჭვის რასების შესწავლით, ტყის ჯიშების ყვავილობებისა და ნაყოფიერების საკითხების გაშუქებით და სხვა.

ჩვენში მან პირველმა დაიწყო მუშაობა ტყის მერქნიან მცენარეთა სასახეთა შორის ჰიბრიდობის, ვერობისა და იაპონიის ლარიქსების შეჯვარებით.

სამეცნიერო – საკვლევი მუშაობა სოლომონ ქურდიანს არც საქართველოში დაბრუნების შემდეგ შეუწყვეტია. მუშაობა განსაკუთრებით გაძლიერდა 1929 წლიდან, როდესაც ამ ღვაწლში მისი ადამიანის თაოსნობით თბილისში გაიხსნა ცენტრალური სატყეო-საცდელი სადგური.

სოლომონ ქურდიანის ყურადღება მიიპყრო საგარეოს სატყეოს მარიამჯვრის აგარაკის მუტანტურმა ფორმებმა, რომელიც დღეს მინწულია ფიჭვის ახალ ფორმათ-წარმოქმნის კერად საქართველოში. აქ დაიწყო მან სხვადასხვა ჯიშის კაკლის ურთიერთშეჯვარება საუკეთესო თვისებების ნივთიერებისა და მერქნის მისაღებად. აჯვარებდა აგრეთვე ბიჭვინთის, ელდარისა და მათ მონათესავე ფიჭვის სახეობებს, რათა მეცნიერულად დაესაბუთებინა მათი წარმომავლობის გზები და ურთიერთობისა-ხლოვე.

სოლომონ ქურდიანი დიდ ინტერესს იჩენდა ბუნების ფენომენური მოვლენებისადმი. ვერ კიდევ 1913 წელს, ციგორობორის ქედის ტყეების შესწავლის დროს, მან აღწერა თელავის ჭადარი თავისი სატაქსაციო მანერებლითურთ. თავის “დენდროლოგიაში” კი მოხსენებული ჰქონდა ძეღვევის სინტერესო ვეგეტაციური სერიოზის გზაზე. მას საჭიროდ მიანდა ჩვენშიც, ისევე როგორც სხვაგან, ბუნების ასეთი უნიკალური ვეგეტაციისა და მნიშვნელოვანი ტყის მასივების ნაკრძალად გამოცხადება. ასე გამოცხადდა “შავ ტყე” წოდებული ნაკვეთი ნაძვანის ბუნებრივ ძეღვევად, ხოლო ნაღვარევის მთელი ხევი სოჭნარების უნიკალური კორომად.

ასევე ნაკრძალად მოინიშნა “აღობილი” პატარა და დიდი “დათვითი” და “ნასოფლარი” – აბასთუმანში.

შემდეგ შეძლო ბუნების ძეღვევისა და ნაკრძალების გამოყოფა მთავრობის დადგენილებით დაკანონებულიყო. ასეც მოხდა: ლაგოდეხის, ბორჯომის, ნაღვარევის, აღდარის, ბაწარას, მარიამჯვრისა და ზოგიერთი სხვა ტერიტორია 1929, ხოლო 1935 წლიდან ნაკრძალად გამოაცხადა.

სოლომონ ქურდიანის თაოსნობით ჩატარდა პირველი “ტყის დღე” საქართველოში 1926 წელს, რომელიც შემდგომ წლებშიც ჩვეულებრივ მეორდებოდა. 1926 და 1927 წლებში ეს აღინიშნა სპეციალური კრებულების გამოშვებით. საქართველოში ტყემოწეობის საქმის ორგანიზაცია-სა და კადრების მომზადებასაც ჩაუყარა საფუძველი, 1924 წელს სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის სატყეო განყოფილების პირველი გამოშვება მან თითქმის მთლიანად ტყემოწეობის საქმისაკენ მიმართა. იგი წარმატებით უძღვებოდა არა მარტო საქართველოსა და ამიერკავკასიის ტყეების მოწეობის საქმეს, არამედ ჩრდილოეთ კავკასიის და ხშირად ჩრდილოეთ რუსეთის ტყეების პერსპექტიულ გეგმასაც წარმატებით ადგენდა.

სოლომონ ქურდიანს დიდი ღვაწლი მიუძღვის მთის ტყეებისათვის ტყის მეურნეობის წარმოების საკითხების დამუშავებაშიც. იგი კარგად იცნობდა დასავლეთ ევროპის მთის ტყეების მეურნეობის მაშინდელ მდგომარეობას და ცდილობდა ნაცადი პრინციპების ჩვენში გადმოტანა-დანერგვას.

როგორ გავერთხილეთ ბარემოს

ჩვენს მუნიციპალიტეტში ჩატარებული არაერთი დასუფთავების აქციის მიზნადგამად შედეგი მაინც საშალოა. ბიზნისი იხმე იხმეა საყოფაცხოვრებო ნარჩენებით. „ოკონენტებიც“ მზად არიან – ეპატიშებიან რესპუბლიკურ მდინა-საშალოებს, იღებენ სიუჟეტებს... ერთი სიტყვით, „მე ვხედავ და შენ ვერაო“-ს პრინციპით თავიანთ დაბინძურებულ ბარემოს „ბულშაბატიკობად უჩნდებიან“.

კეთილი ზრახვების მქონე, ყველაფერს კეთილად ხედავს

როდესაც ვინმე მეტყობდა, რომ ეკლესიაში სრულიად შეუფერებელი ადამიანების დანახვა აბრკოლებს, ვასუსობდი: “ბუზს თუ კითხავ, აქ ახლო-მახლო ყვავილები ხომ არ გეგულვებო, გიპასუხებს, რომ ყვავილებისა არაფერი იცის, მაგრამ აი, თხრილი კი კონსერვის ქილებით, ნაკელითა და ათასგვარი სიბინძურით არის საუსეო. და ბუზი თანმიმდევრულად ჩამოვითვლის ყველა სანარცხეს, სადაც კი ოდესმე ყოფილა. მაგრამ, თუ ფუტკარს კითხავ, ამ მიდამოებში რაიმე უწმინდურება თუ შეგხვედრიაო, ის მოგიგებს: “უწმინდურება?! არა, არ მინახავს, აქ იმდენი კეთილსურნელოვანი ყვავილია!” და ფუტკარი დაიწყებს სხვადასხვაგვარი ყვავილების ჩამოთვლას – ბაღისა და ყელისას. ხედავ, როგორაა?! ბუზმა მხოლოდ სანარცხეები იცის, ხოლო ფუტკარმა ის, რომ აქვე ახლოს შრომანი ჰყვავის, იქით კი – ოდნავ მოშორებით – გეაცინდები.

როგორც მივხვდი, ზოგი ფუტკარს ჰგავს და ზოგიც – ბუზს. ვინც ბუზის მგავსია, ყველა სიტუაციაში ცუდს ეძებს და ამით არის დაკავებული. ის სიკეთეს ვერაფერში ხედავს, ხოლო ის, ვინც ფუტკარს ჰგავს, ყველაფერს კეთილად უცქერს. ნაკლულოვანი ადამიანი ნაკლულოვნად ფიქრობს და ზრახავს, ყველაფერთან მიმართებაში სიფრთხილეს იჩენს, ყველაფერს უკულმა ხედავს; მაშინ, როდესაც კეთილი ზრახვების მქონემ რაც არ უნდა დაინახოს, რაც არ უნდა უთხრან მას, კეთილ ზრახვებს აამოქმედებს.

წმ. პარი პაიხი ათონელი

როგორ მიარჩივს ბარემოელი სისუფთავს, ანუ იქულებს ნარჩენული შედეგი

შოხრამბაძის გრაფმა ახალი ბრძანება გამოსცა, რომლის შედეგად შვაბიის ქალაქები თვალშისაცემად გასუფთავდა. ბრძანების არსი კი ასეთი იყო... გერმანელები (აღბათ ისევე, როგორც სხვა ხალხები) ნაგავს პირდაპირ დობის იქით, ან სადაც მოუხერხებოდათ, იქ ყრიდნენ. ამ ნაგავში შედიოდა როგორც საყოფაცხოვრებო, ისე დაღუპული პირუტყვი, შინაური ცხოველები, ძველები და ა.შ. მოკლედ, ყველაფერი. ადგილი ჰქონდა ანტისანიტარიას, ვრცელდებოდა დაავადებები და, რა თქმა უნდა, იდგა საშიშნელი მყარალი სუნი. XV საუკუნეში ვიურტემბერგის (გერმანიის ისტორიული მხარე სამხრეთ-დასავლეთში, მიეკუთვნება შვაბიას) გრაფს ყელში ამოუვიდა ეს სიმყარადე და გამოსცა ბრძანებები, რომ საქონლისა და ადამიანების ფეკალიები უნდა გაეტანათ გარეუბანში ან მდინარეზე, თანაც — დამით. ამ ბრძანებების შესახებ, რა თქმა

უნდა, დაივიწყეს, რადგან მისი შესრულების შემოქმედა არარეალური იყო. მაშინ გრაფმა ახალი ბრძანება გამოსცა, რომლის შედეგად შვაბიის ქალაქები თვალშისაცემად გასუფთავდა. ბრძანების არსი ასეთი იყო: **თუ შეამჩნიეთ, რომ თქვენს მეზობელს ერთი-ორი კვირა არ გააქვს ნაგავი და ამის შესახებ არ განაცხადებთ, დისჯება არა მხოლოდ თქვენი მეზობელი, არამედ თქვენც. ხოლო თუ მეზობელი დაასმინეთ, მაშინ უფლება გაქვთ მისი მიწის ნაწილი მიიღოთ.** ამის შედეგად ყოველ შვაბთს ყველა დემონსტრაციულად და საგულდაგულოდ უწმინდა ნაგავსგან საკუთარ ეზოსა და მის წინ ტერიტორიას, რადგან დასმენისა და დახჯის ეშინოდა. რა თქმა უნდა, კარგი არ არის დასმენა არც მეზობლისა და არც არავისი და დასმენის დაძალების განხილვა შეიძლება, როგორც პიროვნების თავისუფლებასზე ძალადობა, მაგრამ, მეორე

მხრივ, შვაბებმა სოფლებსა და ქალაქებში მალე დაამყარეს სისუფთავე — **შვაბების დიალექტზე არის სპეციალური სიტყვა „კერვოხე“, რომელიც შვაბთ დღეს დაღვრებას უკავშირდება.** შვაბების „კერვოხე“ კი კულტურული მემკვიდრეობის ნაწილი გახდა. იქნებ რაიმე ბრძანება და კანონი საქართველოშიც ამოქმედებინათ (ქალაქებზე რომ წერია, დაიცავით სისუფთავე, თორემ დაგაჯარიმებთო, ვიცით). ყოველ შემთხვევაში, „დასმენის ინსტიტუტის“ ამუშავება, ტექნიკის არნახული მიღწევების საუკუნეში, ნამდვილად აღარ არის საჭირო. მიუბაძოთ გერმანელებს, მოეუაროთ ჩვენ-ჩვენ ქალაქსა და სოფელს და თუ არ დაგვით ჩვენი ეზოსა და სახლის წინ, ნუ დავანაგვიანებთ მაინც! ამას კი მხოლოდ ერთი რამ შეგვაძლებინებს — ჩვენი ქალაქის, სოფლის, უბნის, ქუჩის სიყვარული.

სოციალური მსპლიან

ლელა ჩხარტიშვილი
შურნალი „კარიბჭე“ №25, 2017წ.

სკორპი

სკორპი

არსენ მეტოქეშვილის 105 წლისთავისათვის
დიდი ფალანხის სმოვნას მიეძღვნა

12 აპრილს შესრულდა ლეგენდარული გიორგიშინდელი ფალანხის სსრკ-ს 17 გზის, პირველი საბჭოთა ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონის არსენ მეტოქეშვილის დაბადებიდან 105 წელი. ამ თარიღთან დაკავშირებით, იმავე დღეს, საგარეჯოს ძიუდოს დარბაზში ჩატარდა მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული სპორტული ღონისძიება – საქართველოს აბსოლუტური პირველობა (ფალანხობა) ქართულ ჭიდაობაში. ღონისძიება გახსნეს საგარეჯოს კულტურული ობიექტების გაერთიანების ქორეოგრაფიულ ანსამბლ “იმედის” (ხელმძღვანელები თინათინ მეხვრიშვილი და ვია კუჭუაშვილი) წევრებმა და სტუდია “მირე-ლა“-ს მომღერლებმა (ხელმძღვანელი მარინა ურდულაშვილი).

ქართული ჭიდაობის აუცილებელი ატრიბუტის - მუსიკის პანგებზე უძლიერესი ფალანხის სახელისა და დაწესებული პრიზების მოსაპოვებლად ერთმანეთს დაუპირისპირდა საქართველოს რეგიონების 17 უძლიერესი ფალანხი, მათგან იმარჯვა და პირველი ფალანხის სახელი დასაკუთრა ცნობილი ქართველი ძიუდოსტის აკაკი კობორაძის ვაჟმა გუგა კობორაძემ.

ეს ტიტული მან თბილისელ სეტიელთან საფინალო ორთაბრძოლაში მოიპოვა. მესამე ადგილზე გავიდა გიორგი კაციაშვილი. ასპარეზობის დასასრულს **აბსოლუტური ფალანხისათვის დაწესებული ჯილდო, 2000 ლარი ბუზა კობორაძის** გადასცა არსენ მეტოქეშვილის ვაჟმა და ამ ასპარეზობის ორგანიზატორმა, ბიზნესმენმა გიორგი მეტოქეშვილმა. ასევე “საგარეჯოს სპორტ-

გაერთიანების” დირექტორმა ვია მისურაძემ გადასცა არსენ მეტოქეშვილის სახელობის თასი.

მეორე ადგილზე გასული **სეტიელი დაჯილდოვდა ამ ადგილისათვის დაწესებული 1000 ლარით**. ხოლო **მესამე ადგილზე გასული გიორგი კაციაშვილს გადაეცა 700 ლარი**. ფალანხობას საპატიო სტუმრების რანგში ესწრებოდნენ თვალსაჩინო ქართველი ფალანხები ოლიმპიური, მსოფლიოს, ევროპის და საერთაშორისო ასპარეზობების ჩემპიონები და პრიზიორები **ლევან თედიაშვილი, გურამ საღარაძე, გივი ონაშვილი, რომან რურუა, დავით გობეჯიშვილი, ლერი**

საბელოვი, რაფიელ ჩიმიშკიანი და სხვები.

ჭიდაობის შუალედში, შესვენებისას მათ დრო გამოიხატეს და გიორგიშინდელში მოინახულეს არსენ მეტოქეშვილის საფლავი, ყვავილების გვირგვინით და წუთიერი ღუმილით პატივი მიაგეს დიდი მოჭიდავის ხსოვნას. სტუმარ-მასპინძლებმა ასპარეზობის ოფიციალური ნაწილის დახურვის შემდეგ არსენ მეტოქეშვილის ხსოვნის პატივსაცემ სუფრასთან გადაინაცვლეს, სადაც კიდევ ერთხელ გაიხსენეს სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული დიდი ფალანხი, კაცი, რომელმაც თავისი სახელი ოქროს ასოებით ჩაწერა ჭიდაობის მსოფლიო ისტორიაში.

სამაგო

ერთი მეორე და ორი მესამე –
ევროპის პირველობიდან

ამასწინათ ჩეხეთის დედაქალაქში ჩატარდა ევროპის პირველობა ჭიდაობა სამბოში ჭაბუკებსა და ახალგაზრდებს შორის, რომელშიც საქართველოს სახელით სამი გარეჯელი სამბისტი - აიპ “საგარეჯოს სპორტგაერთიანების” აღსაზრდელები – სამბოსა და ქართულ ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონი, ჭაბუკებში მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი **ლავა მათიაშვილი**, ქართულ ჭიდაობასა და ძიუდოში საქართველოს ჩემპიონი **ამირან ღარბაისელი**, ძიუდოში საქართველოს ჩემპიონი, მსოფლიოს ვერცხლის პრიზიორი ჭიდაობა სამბოში ნატალია ყიფშიძე იღებდნენ მონაწილეობას. აქედან, ლავა მათიაშვილი ამ მნიშვნელოვან ასპარეზობაში შეკრებაზე ნატკენი მხრით, **ნატალია ყიფშიძე** კი



ტრამვირებული ფეხით გამოდიოდნენ, რის გამოც საჭიდაო ხალიჩაზე გასვლის წინ ტკივილგამაყუჩებელი მედიკამენტები სჭირდებოდათ. მიუხედავად ამ პრობლემებისა, მათ არც ჩეხეთში შეურცხვენიათ თავი და შეძლეს საპრიზო სამეულში ღირსეული ადგილების დაკავება – **ლავა მათიაშვილი ბრინჯაოს სინჯის** მედლის მფლობელი გახდა 81 კგ წონით კატეგორიაში.

ნატალია ყიფშიძემ ნატკენი ფეხით მაინც შეძლო საფინალო ორთაბრძოლის გამართვა, მაგრამ მოუხდა დათმობა რუს მეტოქესთან და **მეორე ადგილზე** გავიდა. თანამემამულეებს მხარი არც **ამირან ღარბაისელმა** მოსტეხა და შეძლო **მესამე საპრიზო** ადგილის დაკავება.

პიულო

ახმეტაში, ბივი ახალაურის
ხსოვნის ტურნირზე

7-8 აპრილს ახმეტაში ჩატარდა გივი ახალაურის ხსოვნის საერთაშორისო ტურნირი 2003-2004-2005 წლიან ძიუდოსტებს შორის, რომელშიც საგარეჯოს “სპორტგაერთიანების” ნორჩი ფალანხებიც ცდიდნენ ძალებს.

შეჯიბრების პირველ დღეს ჩვენებური მოჭიდავეებიდან ტურნირის ჩემპიონი გახდა **შოთა ბაროშვილი**, ხოლო **ონისა ბორაშვილი, დავით კეგელიშვილი და ბიორბი სონიძე** – მესამე საპრიზო ადგილებზე გავიდნენ.

ასპარეზობის მეორე დღე წარმატებულად დაიწყო და ტურნირის ჩემპიონი გახდა **თენგიზ ხმამაღლაშვილი**. შესაბამის წონით კატეგორიაში მეორე ადგილზე გავიდა და ვიცეჩემპიონი გახდა **დავით შათირიშვილი, ლავა მამულაშვილმა** კი შეძლო მესამე საპრიზო ადგილის დაკავება.

პიულო

ფანის ტრავმით მე-5 ადგილზე

პიულოს საგარეჯოელი გულშემატკივრები უკვე მიეჩვივნენ იმ წარმატებას, რასაც აიპ “საგარეჯოს სპორტგაერთიანების” ძიუდოს მწვრთნელ ლუდა ფერადის ნიჭიერი აღსაზრდელი **თინათინ რევაზიშვილი** აღწევს ქვეყნისა თუ საერთაშორისო დონის ასპარეზობაში. ჩვენებურმა ძიუდოსტმა წარმატებულად დაიწყო მიმდინარე წელიც. წლის დასაწყისშივე, თებერვალში მან შარშანდელ საქართველოს ჩემპიონისა (ძიუდო, სამბო) და მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორის (სამბო) წოდებებს ძიუდოში საქართველოს ჩემპიონის წოდებაც შემატა, რითაც იგი დაყენებულია ევროპისა და მსოფლიოს მომავალ პირველობებში მონაწილე საქართველოს ნაკრებში.

ამას წინათ მიღებულმა ფეხის ტრავმამ თინათინს ხელი ვერ შეუშალა მონაწილეობა მიელო ჩეხეთში ძიუდოში გამართულ ევროპის თასის გათამაშებაში, სადაც ჩვეულებრივ შემართებით ჩაება. პირველი სამი შეხვედრა მან წმინდა გამარჯვებით დაასრულა და ცოტადა აკლდა ჩემპიონის წოდებამდე, მაგრამ ფეხის ტკივილმა მაინც იმოქმედა მის ჭიდაობაზე და საბოლოოდ მეხუთე ადგილზე გავიდა, ახლა მისი მთავარი ამოცანაა ბოლომდე მოიშუშოს მიღებული ტრავმა და “სრულ ფორმაში” შეხვედეს ევროპისა და მსოფლიოს პირველობების გათამაშებებს, რომელთა გამართვამდე არც თუ ისე დიდი დროა დარჩენილი.

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

ოქრო და მირიან ბიორბაძის
სახელობის თასი

7-9 აპრილს თერჯოლაში ჩატარდა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონისა და ევროპის პრიზიორის მირიან ბიორბაძის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი 2003-2004 წლიან კლასიკური სტილის მოჭიდავეებში. საქართველოს სხვადასხვა რეგიონის 280 მოჭიდავეს შორის თავიანთ ძალებს სცილდნენ აიპ “საგარეჯოს სპორტგაერთიანების” მწვრთნელების თამაზ ყიფიანისა და ვასილ მარტიაშვილის აღსაზრდელებიც. მათგან ბრწყინვალედ იასპარეზა და ტურნირის ჩემპიონი +59 კილოგრამ წონით კატეგორიაში გახდა **ტარიელ პაატაშვილი**, რომელმაც ჩატარებული ოთხი ორთაბრძოლიდან ოთხივე წმინდა გამარჯვებით დაასრულა.



აღსანიშნავია ისიც, რომ საფინალო შეხვედრაში იგი დიდი ანგარიშით 12 : 1-ზე უგებდა თავის ძველ მეტოქეს, თერჯოლელ ლუკა მაკარიძეს, რომელიც ბოლოს წმინდახეც დააგლო და რევაზში აუღო შარშანდელი მარცხისთვის. . . ამასთან ერთად, ჩვენი მოჭიდავე გახდა ამ წონაში დაწესებული მირიან ბიორბაძის სახელობის თასის მფლობელი, რომელიც მას პირადად მირიან ბიორბაძემ გადასცა. თამაზ ყიფიანთან ვარჯიშის პარალელურად, ტარიელ პაატაშვილი წვრთნებს თბილისის ოლიმპიური მზადების ცენტრშიც გადის, რაც ამ შედეგშიც აისახა და მისი მწვრთნელები მისგან მომავალში უფრო მეტ შედეგებს მოელოან.

ტურნირზე ახლად დამწყები მოჭიდავის კვალობაზე კარგად იასპარეზა **ლუკა თედიაშვილმა**, რომელმაც პირველი შეხვედრები გამარჯვებით დაიწყო, მაგრამ შემდეგში ძალები აღარ ეყო მესამე ადგილისათვის ბრძოლის გასაგრძელებლად.

ბივი ღაბასიშვილი

თინათინ რევაზიშვილის
ნარკმატეხა ბაქოში

ამ დღეებში ბაქოში ჩატარდა საერთაშორისო გუნდური პირველობა ძიუდოში, რომელშიც საქართველოს ღირსებას ვაჟ ძიუდოსტებთან ერთად იცავდა აიპ “საგარეჯოს სპორტგაერთიანების” მწვრთნელ ლუდა ფერადის ნიჭიერი აღსაზრდელი, ძიუდოსა და სამბოში საქართველოს ჩემპიონი, მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორი ჭიდაობა სამბოში **თინათინ რევაზიშვილი**.

როგორც ყოველთვის, თინათინმ ბრწყინვალედ იასპარეზა ამ ასპარეზობაშიც, მეტოქეებთან ყველა შეხვედრა დამაჯერებლად მოიგო და თავისი ღირსეული წვლილიც შეიტანა იმაში, რომ საქართველოს ნაკრები პირველობის ჩემპიონი გამხდარიყო. ისე, რომ თავის ზემოთნამოთვლილი ტიტულები თინათინმ ამჯერად გუნდური პირველობის ჩემპიონის წოდებითაც “დაიმშვენა”.



„ლექსო, ამობთქომ...“ მონაცრება

ბაცობრიობის ისტორიას, ლიტერატურას, ხელოვნებას, ზეპირსიტყვიერებას უამრავი სასიყვარულო ამბები შემოუნახავს. ამ მხრივ მდიდარია ქართული ლიტერატურაც. სასიყვარულო, ვამბობთ, როცა სიყვარულის ობიექტი ქალი ან მამაკაცია. მაგრამ, დამკვიდრებით, სიყვარულის უამრავი სახეც არსებობს. პირველს, ალბათ დედა-შვილურს დამისახელებთ, და-ძმურს... და ა.შ. იმაშიც უთქმელად დამეთანხმებით, რომ ყველაზე ძლიერი, მძაფრი სიყვარული მშობლიური მიწის, მშობლიური კუთხის მხოლოდ ქართველებს გვაქვს მთელ მსოფლიოში. ამის უამრავი მაგალითებიც ხომ არსებობს?! რაღა შორეული წარსულიდან გამოვიხმოთ მათი სახელები, აქვე გვაქვს აფხაზეთის, სამხაბლოს ომის გმირთა მაგალითებიც...

სულ სხვა ყოფილა სიყვარული მშობლიური კუთხისა და იმ მიწის, იმ ზღვის სურნელის მონატრებისა, რომელიც აფხაზეთის ცისქვეშა დღეს მოქცეული, რომელიც დღეს სიხმრადქცეულა უდაბნოს ხეატსა და მზის ცხელი სხივებით გაჯერებულ სივრცეში. დღეს ბერი ზღვის მოღამუნე, თბილი ტალღების ნაცვლად, სიცხისგან აღმურმოდებულ, სიცხისგან დამსკდარ მიწას დაჰყურებს და კალამსა ანდობს თავის მონატრებას, სიყვარულს გადამთიელ უცხოთა ფეხქვეშ გათელილი მიწისა...



აი, აგვიხდა სიხმარი
დგას ქართლი ბეჭებმაგარი
ვინც ფიცხელ ომში იბრძოდა
მათი სამშობლო აქ არი!
გრიალებს კავკასიონი
დეკაცთა ნაამაგართი
ნეტავ რა ხელმა დახატა
ეს საქართველოს მთა-ბარი.

რა ვიდონო, რით გიწამლო, რით გიშველო
შენ ტკივილო სულ ახალო, განა ძველო.
ჩემო ასჯერ განარბენო მთა და მდელი
ენგურს გაღმა დარჩენილო საქართველო.
ენგურს გაღმა ღალიძგა და ტამიშია
სათანჯოსთევის ხელი ვეღარ გამიშვია.
ერისწყალი, ზღვა მწყურია, გალი-მშია
გადავიდე? – მეგრულ “ნანას”

ყვავორნებს ეომებოდა
არწივი დეხებიანი
არწივი ფრთები გაშალა
ომში იწვრთნება ჭკვიანი,
არწივთან ძობა მომინდა
გაკაფე გზა ეკლიანი
არწივო, ფრენა მასწავლე
სანამ არაა გვიანი,
ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე
ვლოცულობ თვალცრემლიანი
უფალო, მალე გვადირსე
ჩვენ საქართველო მთლიანი.

დამიშლიან.
ღუმურიშის დიდო ცაცხვო –
ცათამბჯენო,
წყაროებო, ჩანჩქერებო – განა ჩვენო
და ილორო, ჩვენო ბურჯო გადამჩენო-
რით გიწამლო ტკივილო და განაჩენო.
აფრენა მსურს ფრთები ვეღარ გამიშლია
სხვამ მოთონხა ჩემს ყანაში ჭკავი, შვრია
ერისწყალი, ზღვა მწყურია, გალი მშია
გადავიდე? მეგრულ “ნანას” დამიშლიან.
ზღვის კენჭებო, სათითაოდ
დანათველო,
ტაძრის ქვებო, წინაპართა განათვლო
და ათასჯერ განარბენო მთა და მდელი-
ენგურს გაღმა დარჩენილო საქართველო.

სასაჩუქროლო ჩრებები

ყველა მცენარეს თავისი სამკურნალო მანიშნება აქვს, მარტამ ყველამ არ იცის მისი მოკრძოვისა და გამოყენების წესი. ასე, მაგალითად, ძრისტმისხლა უამრავ მანა-გაღებას კურნავს. მისი მნიშვნელოვანი მიწოდება ამოღება და შენახვა მხოლოდ ახალ მთვარეში, მაისის პირველ შაბათ დღეს შეიძლება.

ძრისტმისხლას ნაყენი ლიმფურას გამწმენდი. ამ მცენარის სამკურნალო და საკმაოდ ეფექტურ თვისებებზე მხოლოდ ტიბეტელი ბერებისგან როდი ვიცით, ხშირად მოიხმარდნენ ჩვენი წინაპრებიც ხალხურ მედიცინაში. (პირადად მაქვს გამოცხადებული და მართლაც სასწაულებრივია) მისი ნაყენი ხელს უწყობს ლიმფური სისტემის ფუნქციის გაუმჯობესებას და წმენდს ჭარბი პათოგენური ბაქტერიებისგან.

მომზადება და გამოყენება: ქრისტესისხლას მცენარე დამწვრტვით, გამოაღინეთ წვენი და 10 წვეთი გააზავეთ 70 მილიგრამ სამედიცინო სპირტთან. ნაყენი ყოველთვის შეინახეთ მაცივარში. დიდის საუზმის წინ მიიღეთ 1 წვეთი, სადილის წინ 2 წვეთი, სამხარის წინ 3 წვეთი და ა.შ. მომდევნო დღეს მოუმატეთ 1 წვეთი. მაგ: დიდის საუზმის წინ 2 წვეთი, სადილის წინ 3 წვეთი, სამხარის წინ 4 წვეთი და ა.შ. როდესაც ახვალთ 15 წვეთამდე ყოველ დღე 1 წვეთის მატებით, შემდეგ- მომდევნო დღეს უკვე შეამცირეთ დოზა 1 წვეთით და ასე ყოველ დღე თითო შემცირებული წვეთით მიიღეთ ანალოგიური პრინციპით.

შოთა ნიშნიანიკი

თავდოკა

1609 წელს თრიალეთში გადმოსული თურქთა დიდი ლაშქარი თე-ვლორე ბერს გადაეხარა და მიზნობრივად მოსთხოვა. თევლორემ მთარს ბზა-კვალი აუზნია და მიხანს დააშორა. მოტყუებულმა თურქებმა ბერი აპუშუს. ქართველთა ჯარმა დრო მოიპოო და მთარი ძვიშეთ-თან დაამარცხა.

თრიალეთის ტყეში, როცა დღეა მშვიდი,
– თევლორე!
– თევლორე!
ტირის ერთი ჩიტი.
განა მართლა ჩიტიუნაა, სული არის სამოთხისა,
– სულო, სულო, სულეთიდან რა განგებამ გამოგხიხნა?
ბაღლობაში ნუკრი იყო, თრიალეთზე ბაღახობდა,
თეთრი ირმის ძუძუს წოვდა და ალგეთში კალმახობდა.
ყელს ეკიდა ქრისტეს ჯვარი-გამგებელი საუფლოთა,
წმიდა იყო, სათნო იყო, ცაში ღმერთთან საუბრობდა.
თოხნიდა თუ ვენახს სხლაედა,– ეხსნებოდა ბაგე ლოცვით,
ჩიტები რომ ეხვეოდნენ, თურმე იყვნენ ანგელოსნი.
მათ უწყიან მომავალი, თითოეულის სულის ხატი,
ვინ მოკვდება მამულისთვის ანდა კიდევ უფლისათვის.
ამიტომაც მსახურებდნენ, წმინდა ბერი სულს ერჩიათ
და ჭკვიანი ხარებივით ებმებოდნენ უღელშიაც.
ათას ექვსას მეცხრე წელი, როგორც უპატრონო რაში,
ტორებს ცემდა ჭიხვინებდა, მთიდან გადარბოდა მთაში.
წმინდა ბერი ლოცვად დადგა ციდან ჩამოესმა რეკა
თრიალეთთან მტერი მოდგა დიდმა მთებმა იწყეს დრეკა.
ქართულ ვენახს, ქართულ ჯვარს,– ქვეყნის ოთხივ მხარეს,
როგორც იატაკანი, სხეპს თურქული მთვარე.
აჰა, მახვილ-შუბებით აზღარბულა სერი,
ჩაღმოსანთა მწკრივები ჰვავს სიკვდილის წერილს.
იწერება სულთანის იწერება ქადილს
და სიკვდილის ეტრატეით იგრანგება ქართლი.
ხმლით აუწულ ცისარტყელებს და ხოხობა ცისკრებს
ფარეულად გაიტანენ ისპაჰანს თუ მისრეთს
შენ ხარ ვენახი აჩეხილი, მეხისის სურვილი ამხდარი,
ღვთის სახლი, სათნო სახლი დამეხილი,
წაქცეული, დაქცეული საყდარი.
მამო, გალობა ხარ შეწვეტილი, მამო, სანთელი ხარ დამწვარი,
მამო, ცეცხლი იყავ სვე-კეთილი, ახლა ხარ ნაცარი
ლოცვა ხარ ბაგეზე შეყინული, ნახევრად სიხმარი არაკი
ლომი ხარ ქართველობას შეწირული და კრავი-ქრისტეს ზვარაკი.
ეს სისხლია, ღვთის კაცო, ღვართქაფად რომ დაგდინდა,
თუ რიურაქმა იფეთქა ანაფორის დამიდან.
—ოსანა! —ოსანა! მოდგნენ ანგელოსები,
ანაფორის ნაწილები მიაქვთ აგვაროზებად.
გალობაში შეგახვიეს და შეგმოსეს ლეგენდებით,
თუ გაჭირდა მტერს და ორგულს ლეგენდითაც ვეკვთებით,
შენი ჯვარი, ოქროს ჯვარი, როგორც გახიხნული ჩიტი,
როგორც სული, შენი სული-ფერად გასისხლული შინდი,
გამოუბა ენად ზარებს, საყდრის დამუნჯებულ ზარებს.
და მზე უძღვის ჩაღმოსანი ქართლის გამარჯვებულ ჯარებს...

—თევლორე! —თევლორე! ეს რა ძალამ გასულდიდა,
მომავალი კიდევ ბევრჯერ გამოგხიხნობს წარსულიდან.
—თევლორე! —თევლორე! შენისთანა მეკვლე გვინდა,
შენი ერთი კიდევ ბევრჯერ გამოგხიხნობს ლეგენდიდან.
მთაში ფანდურს ავღაველებენ, წვიმს გმირული კაფია,
ცაში ელვით იწერება შენი ეფიტაფია.

სსოვნა

ლონარა ბაიტიამაშვილი-პეტრიაშვილი



დედა, ძვირფასო, მინდა მოგწერო, მაგრამ მარჯვენა ვერ მიტრიალებს. შენი ამავი ისე დიდა ვერაინ მაგას ვერ დააფასებს!

მხოლოდ სიკეთის იყავ მთესველი, ჭიანჭველასაც ფეხს არ ადგამდი. დარდით საგვს და მუდამ უთქმელი ცივ სამარეში ადრე წახვედი.

შენ იყავ მუდამ სამაგალითო და ეტალონი ქართველ ქალობის, ზემოდან არვის არ დაჰყურებდი ყველას უცქერდი მხოლოდ წყალობით.

შენგან ნაწყენი ადამიანი ამ ქვეყნად არსად არ იარება პირში თევზივით წყალჩაუბებულს სამოთხის კარი შენ გაგვლება!

შვილი –
ლია პეტრიაშვილი

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 500
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, შპს „კოლორ პრესი“-ში.
ტელეფონები: 599 502 842 599 851 143
ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru